ქ. წალენჯიხა
წელი

20 თებერვალი 2023

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა
კომისიის სხდომის ოქმი N2

2023 წლის 20 თებერვალს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რომან კვარაცხელია. ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, მამუკა მიქავა, ომარ ქარდავა.

დაწყების დრო: 16:00-სთ.
დასრულების დრო: 16:15-სთ

დღის წესრიგი:

1. ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ'' წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
   პროექტის წარმომდგენი: ელენე ბერაია, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის მ/შ
2. ,, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ'' წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 ივნისის № 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
   პროექტის წარმომდგენი: ელენე ბერაია, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის მ/შ
3. ,, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ'' წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 ივნისის № 18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
   პროექტის წარმომდგენი:ელენე ბერაია, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის მ/შ
4. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 მარტის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
   პროექტის წარმომდგენი: რომან კვარაცხელია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე
5. სხვადასხვა

სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რომან კვარაცხელიამ სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ'' წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და ,, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ'' წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 ივნისის № 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ისაუბრა, მუნიციპალიტეტის მერიის ადმიუნისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მოვალეობის შემსრულებელმა ელენე ბერაიამ. საქართველოს კანონში „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" და საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", განხორციელდა ცვლილებები. შესაბამისად აღნიშნული ცვლილებები უნდა აისახოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" და „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" სამართლებრივ აქტებში.

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილ იქნა ცვლილება, კანონის სათაური ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ".

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 მარტის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი წარმოადგინა საკრებულოს სამანდატი, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თვმჯდომარე რომან კვარაცხელიამ. 2022 წელს საქართველოს საკანონმდებლო აქტებში განხორციელდა რიგი ცვლილებები, რომელთა ნაწილი შეეხო ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობას და აუცილებელი გახდა მუნიციპალიტეტის სამოქმედო სამართლებრივი აქტების საკანონმდებლო აქტებთან შესაბამისობაში მოყვანა. გათვალისწინებით ამისა, „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" 2022 წლის 22 მარტის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტში წარმოდგენილია ზემოთ აღნიშნული ცვლილებები. (დანართი თან ერთვის).

საკითხებთან დაკავშირებით კომისიის წევრებს შენიშვნები და წინადადებები არ ჰქონიათ და ერთხმად ჩათვალეს საკითხები მომზადებულად.

ამით საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — რომან კვარაცხელია